

ქართული სიმღერა – შენახვა თუ განვითარება?

ქართული ხალხური სიმღერის პოპულარობა საქართველოში დღეს, შესაძლოა, ფოლკლორის ბუმად შეფასდეს. ფუნქციონირებს მრავალი მეორადი ფოკლორული ანსამბლი; უკვე პოპულარულ მიმართულებად ჩამოყალიბდა ეთნომუსიკა. ამასთან, შეიძლება ითქვას, გამძაფრდა სხვადასხვა მოსაზრებათა დაპირისპირება `ნამდვილი ფოლკლორის~ თემაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაპირისპირება იშვიათად სცილდება კულტურულ საუბრებს, ხოლო თუ სცილდება, ხშირად მკაცრი შეფასების ტონით უფროა შეფერილი, ვიდრე – თანამშრომლობის სულით.

პოპულარობა, რომლითაც ქართული სიმღერა მსოფლიო მასშტაბით სარგებლობს, გარკვეულწილად მისი ერთგვარი `დაკონსერვების~ მიზეზი ხდება ხოლმე. ვგულისხმობთ სიმღერების ისეთი სასცენო ფორმების შემუშავებას, რომლებიც, წლების განმავლობაში, `სწორი ვარიანტების~ სახით აგრძელებენ ცხოვრებას. შეიძლება ითქვას, ასეთი `მოწონებული ვარიანტი~ განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს და, შესაბამისად, ცვლილებას არ ექვემდებარება. ასეთი ნიმუში უტოლდება პროფესიულ კომპოზიციას, რომლის შემსრულებელი მხოლოდ შემსრულებელია და არა – კომპოზიტორი, ერთ პირში მოთავსებული ცნობილი ხალხური ტრიადის – ავტორი-შემსრულებელი-მსმენელის (ბაღაშვილი `ერთი კრებითი სუბიექტი~ 2004) საპირისპიროდ. არა მარტო ჩემი აზრით, დღეს ქართული სიმღერა უმეტესად ერთგვარი `გაშეშებული~ ვარიანტებით სრულდება, როგორც `სამუზეუმო ექსპონატი~ (რ. წურჭუმია 2005 გვ 110). შეიძლება ამ თემაზე დავა, მაგრამ, მე მგონი, ერთში კი მსმენელთაგან ყველა დაგვეთანხმება: ფოლკლორთან მიმართებაში ცნება `სწორი ვარიანტი~ საბოლოოდ უნდა დავივიწყოთ.

ჩვენი აზრით, მომწიფდა შემდეგი საკითხი: შესაძლოა თუ არა დღეს არა მარტო სასიმღერო ნიმუშის ვარიანტის გადმოცემა, არამედ უფრო შესამჩნევი დამუშავება, ან – ახალი ნიმუშის შექმნა, რომელიც შესაძლოა შემდეგში ხალხური გახდეს?

შეგვიძლია, მრავალი ფაქტი გავიხსენოთ ისეთი სიმღერისა, რომლის ავტორიც ვიცით და რომელიც დღეს ტიპურ ხალხურ სიმღერადაა ცნობილი (`დილა~, `ადილა~, `წინ წყარო~, `მივალ გურიაში~). მაშასადამე, ადრე შესაძლებელი და საბოლოოდ გამართლებული ყოფილა სიმღერების დამუშავება თუ შექმნა. რატომ არ შეიძლება ეს დღეს? გასაგებია, რომ ამჟამად არ მოღვაწეობენ იმ დონის და იმდენი ლოტბარი, როგორიც ადრე იყვნენ (თუმცა პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ირგვლივ არაერთი მაღალი დონის ლოტბარია). დავით შულღიაშვილი აღნიშნავს: `...არავის აუკრძალავს ცდა მისი ვარიანტისა და უნარის მქონეთათვის – მისი გამშვენებისა! პირიქით, ასეთი მცდელობა ერთ-ერთი პირობაა ამ საუნჯის, როგორც ერის ცხოვრების შემადგენელი ნაწილის შენარჩუნებისა~. მას მხარს უბამს ნანა ვალიშვილი: `ხალხური მუსიკის შემსრულებლობა ცოცხალი, შეუქცევადი პროცესია და მუდმივად განიცდის გარდაქმნა-განვითარებას~.

მთავარი ისაა, რომ შემოქმედებითი პროცესი დირექტიულად არ შეიზღუდოს. ვერ შეიქმნა სასურველი მხატვრული დონის ნაწარმოები? დღეს თუ არა ხვალ მაინც ხალხი უკუაგდება მას, ან თავისი ზოგადი გემოვნების მიხედვით გარდაქმნის. ამასთან, თუ ამგვარი გადამუშავების

პროცესი ავტორის მიერ შეიზღუდა საავტორო უფლებების დაცვის მიზეზით, სანერვიულო არაფერია – ეს ნაწარმოები მით უმეტეს ვერ მიიკრავს `ხალხურის~ იარლიყს.

არ გვინდა, ვინმემ ისე გაგვიგოს, თითქოს ხალხურ სასიმღერო პროცესში მხოლოდ განახლების მიმართულებას ვთვლიდეთ საჭიროდ და მართებულად. ფოლკლორში არის როგორც განვითარების, ასევე შენარჩუნების, დაცვის ვექტორი. უფრო მეტიც – ხშირად ნამდვილი ფოლკლორის ნიმუში სწორედ იმით შეიცნობა, რომ მისი შესრულებისას ერთიდაიგივე მოტივი მრავალჯერ მეორდება – შემსრულებლის შემოქმედებითი მოლოდინი სრულიად კმაყოფილდება ამ განმეორებადი მოტივით, რაც ამ მოვლენის ფუნქციისადმი იდეალურ შესაბამისობას ადასტურებს. მაგრამ ზემოთქმული ეკუთვნის ძირითადად საკულტო-სარიტუალო ჟანრებს, სადაც ახლისადმი ტაბუს, რიტუალის წმინდად შენარჩუნების მოტივიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. მაგრამ ქართული სიმღერა კარგა ხანია, აღარ თავსდება მხოლოდ რიტუალში, და ეს ფაქტი დღეს ყველასათვის საცნაურია.

ქართული ხალხური მუსიკის მიმართ შეხედულებებში სხვადასხვა ეპოქაში ერთი გამოკვეთილი მიმართულება ჭარბობს ხოლმე, და მას შემსრულებელთა და მსმენელთა უმრავლესობა ემხრობა. დღეს არსებული ამგვარი მიმართულება შეიძლება ითქვას, სათავეს იღებს ედიშერ გარაყანიძის `მთიების~ მოღვაწეობიდან. შესრულების ავთენტუკური ფორმისა და მანერისადმი დაბრუნება, ცხადია, ჰაერივით საჭირო და პროგრესული ინიციატივა იყო, რაც კარგად შეიგრძნო სიხალასისადმი მიდრეკილმა ახალგაზრდულმა სულმა. მაგრამ დღეს მაინც, ვფიქრობ, კარგი იქნება, იგივე ახალგაზრდებმა გაიხედონ უფრო შორს, ვიდრე ძველი ჩანაწერების ასლის ახმოვანებაა სცენაზე. მართალია, ამგვარი გაჟღერება თითოეული ანსამბლის თავისებურ ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას გულისხმობს, მაგრამ ამგვარი შესრულება მაინც ინტერპრეტაციაა, ისევე როგორც პიანისტის მიერ ცნობილი კომპოზიტორის პიესის ახმოვანება, და არა – თავად ავტორის მიერ ნაწარმოების ყოველ ჯერზე ხელახლა შექმნა. არა და, თავისი არსით სწორედ ესაა ფოლკლორი. ა. კუზმიჩი საფუძვლიანად შენიშნავს, რომ: `... ფორმისა და მელოდიური მოტივების განხილვისას, ჩემი აზრით, თანამედროვე ანსამბლები (იგულისხმება ქართული (თ.გ.) შესრულებისას ნაკლებად მიმართავენ იმპროვიზაციულობასა და ვარიაციულობას, ვიდრე ეს ძველ ვერსიებშია~. ხოლო რ. წურწუმია წიგნში `მეოცე საუკუნის ქართული მუსიკა~, წერს: `ქართულ სინამდვილეშიც, ... უამრავი ანსამბლი არსებობს, რომელთათვისაც ხალხური სიმღერა `მზამზარეულ მოცემულობას~ წარმოადგენს~.

ვფიქრობ, გამოცდილების გარკვეულ დონეზე არ უნდა გვეშინოდეს იმის შეგნება, რომ ჩვენც ხალხის ნაწილი ვართ და ჩვენც გვაქვს უფლება ხალხური მუსიკის შექმნა-დამუშავებისა. განაჩენს კი ისევ ხალხი – მსმენელი გამოგვიტანს.

მართალია: ერთია დამუშავება და მეორე – შექმნა. ადრეფოლკლორულ პერიოდში სიმღერა, როგორც დასრულებული კომპოზიცია, მზა სახით არც იქმნებოდა. ბაღაშვილის სიტყვებით, `ფოლკლორში არ ხდება ერთი ერთი მხატვრული მეთოდის მიერ მეორის სწრაფი ცვლა. აქ საქმე გვაქვს თანაარსებული მეთოდების სისტემის თანდათანობით და ნელ სახეცვლასთან~. (ბაღაშვილი 2004). მაგრამ დრომ მოიტანა მსმენელისადმი დრამატურგიულად გააზრებული მთლიანი ნიმუშების შეთავაზება. ამგვარი შემოქმედებითი ინოვაცია ქართული

ფოლკლორისთვის სისხლის გადასხმის ტოლფასია. ეს მზა ნიმუშები უკვე მიმოქცევაშია და ქართული სიმღერა უკვე ამითაც ცოცხლობს.

ცხადია, ღაღადი იმის შესახებ, რომ ხალხური სიმღერა ყველამ ტოტალურად უნდა `ავითაროს~, ფუჰია. ეს ხელეწიფება მხოლოდ მას, ვის ზურგსუკან ან ხალხურ შემსრულებლობასთან მრავალი წლის ურთიერთობა აკავშირებს, ან გარკვეული ცოდნა აქვს დაგროვილი ამ მიმართებით (ამ ხალხს რ. წურწუმიან `მრავალხმიანობის მატარებლებად~ მოიხსენიებს (მე-4 სიმპოზიუმი).

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თემაზე მსჯელობისას თუ გადაწყვეტილების მიღებისას სხვადასხვა გარკვეული პრობლემის წინაშე ვდგავართ: ერთი მათგანი გვსურს მცირე ლირიკული გადახვევით დავასურათოთ: `იეპოვას მოწმეებს~ აქვთ შემდეგი წესი: ის, თუ ვინ არის ღირსი `ზიარებისა~, უნდა გადაწყვიტოს თავად `ზიარების~ მოსურნემ. თუ ეს უკანასკნელი ჩათვლის, რომ იგი კარგადაა მომზადებული `ზიარებისთვის~, მას ვერავინ დააბრკოლებს. მართლაცდა, რით შეგვიძლია დავიცვათ შემოქმედებითი კრახისაგან ხალხურ კომპოზიტორობასთან `ზიარების~ მოსურნე პირი? იქნებ სერტიფიკატი გაიცეს ხალხურ კომპოზიტორზე? ან უფრო სერიოზულები თუ ვიქნებით: იქნებ მსმენელთათვის მკაფიოდ გაიმიჯნოს ტრადიციული და უწყვეტი განვითარების რომელიმე საფეხურზე დაფიქსირებული ნიმუშის ახალი ვარიანტი და ხალხური სტილით შემქნილი სრულიად ახალი სიმღერა? ვფიქრობ, ამგვარი გაფრთხილებები კვლავდაკვლავ ხელოვნური ჩარევა იქნება. ყოველგვარი საავტორო უფლება ფოლკლორისთვის უცხოა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ყველაზე მართებული და ქმედითი იქნება მუსიკალური კრიტიკის როლის გაძლიერება.

კიდევ ერთ საკითხს, გვსურს, დავუფიქრდეთ: დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ სიმღერის სწავლის საუკეთესო გზა ძველი ჩანაწერების მოსმენაა. მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადი, რაც ამგვარი ნიმუშებიდან უნდა ავიღოთ, არის არა კონკრეტული სიმღერა, არამედ _ ზოგადი სტილი, საშემსრულებლო მანერა. რაც შეეხება მრავალგზის მოსმენილი ნიმუშიდან `ასლის გადაღებას~, ამ პროცესში იკარგება ზეპირი გადაცემის მეთოდი, რომელიც ფოლკლორის ერთ-ერთი ძირეული მახასიათებელია და ტრადიციის გადამცემსა და მიმღებს შორის უშუალო ურთიერთობას გულისხმობს.

გვსურს შევეხოთ ზოგიერთ სტილისტურ ასპექტს.

ახლო წარსულში არაერთი ისეთი სიმღერა შექმნილა, რომელიც ხალხმა გაითავისა, მაგრამ რომელიც საბჭოურ პერიოდში დამკვიდრებული სტილიტიკითაა გაჟღენთილი და მისი რომელიმე ხალხური დიალექტისადმი კუთვნილება ჭირს. ჩვენი აზრით, არცაა საჭირო, ამ მიმართულებით ძალის დახარჯვა. ანდა ვაღიაროთ, რომ შემოქმედების ეს მიმართულება არა ძველი, დიალექტური მახასიათებლით განსაზღვრული მოვლენაა, არამედ ქართული ხალხური სიმღერის სტილურად ახალი შენაკადია, მსგავსად უკვე აღიარებული `ქალაქური სიმღერის~ სტილისა. მის მიმართულებას უნდა მოემყდნოს სახელი და მათ შორის მხატვრული ღირსებებით გამორჩეული ნიმუშებიც უნდა ვაღიაროთ. არ მოგვწონს ის, რასაც ხალხი მღერის? მაგრამ მარტო ჩვენ ხომ არ ვართ ხალხი?

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქალაქური სიმღერა დღეს კვლავ `გერის~ პატივით სარგებლობს. არადა მსმენელთაგან შეიძლება ბევრს ეცნოს შემდეგი სიტუაცია: სუფრაზე მღერიან გლეხურ

ხალხურ სიმღერებს, მაგრამ რომ შეზარხოშდებიან, გლეხურს ქალაქური რეპერტუარი ცვლის და მას ხშირად უფრო მეტი გატაცებითაც მიეცემიან ხოლმე.

არ გვსურს, შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მომხრე ვიყოთ, ხალხურად ვადიაროთ ყოველივე ის, რაც დღეს ხალხში იმღერება და პოპულარულია. ასეთი ლოგიკით დღეს ყველაზე ხშირად – საყოველთაოდ იმღერება `დაბადების დღეა~. ხალხური სიმღერის შემსრულებელი საფუძვლიანად უნდა შეიგრძნობდეს ქართული სიმღერის მელოდიკასა და ხმათა შეთანხმების ნორმებს; მუსიკალური დრამატურგიის ლოგიკას, მის არტიკულაციურ და სხვა საშემსრულებლო მეთოდებს.

ჩვენს მოხსენებაში ხშირადაა ნახსენები `ახლის შექმნა~. შესაძლოა, მავანს ეჭვი გაუჩნდეს, რომ ახალი სიმღერის შემოპარებას ვცდილობთ. მაგრამ პირადად მე ჩემს თავზე ამგვარ ტვირთს, ჯერჯერობით მაინც, ვერ ვიღებ. რაც შეეხება გადამუშავებას: თავს ნებას მივცემთ, განვიხილოთ კონკრეტული შემთხვევები ჩვენი პრაქტიკიდან (ვგულისხმობთ ანსამბლ `კერიასთან~ მუშაობას), სადაც მოგვიწია, გარკვეული ცვლილებები შეგვეტანა შესასრულებელი ნიმუშის არსებულ ვერსიაში:

ცხადია, ძნელია, გაამართლო გუნდის ხელმძღვანელი, აქტიური შემოქმედებითი მიდგომა გამოამჟღავნოს იმ ჟანრის სიმღერებისადმი, რომლებიც დღეს უფუნქციოდაა დარჩენილი – შრომის, ამინდის მართვის, საკულტო-სადიდებლების და ა.შ. აშკარა სიახლე ამ მხრივ ყოვლად უადგილო იქნებოდა და ყველას მიერ არადეკვატურად შეფასდებოდა. მეორე მხრივ, თუ არსებობს გარკვეული მინიშნება იმისა, რომ ერთი სადიდებელის ორი, ცალკე მდგომი ვარიანტი დედანის სხვადასხვა სიბრტყეზე ორი პროექციაა, შესაძლებლად მიგვაჩნია ამ ორი ვარიანტის ერთ ნიმუშად წარმოდგენა (შესაძლებელია მსჯელობის საგნად აქ ქალთა კახური `დიდება~ მოვიყვანოთ).

თუ დღევანდელ პრაქტიკაში რომელიმე ნიმუში ფუნქციის შეუსაბამოდ სრულდება, ჩემი აზრით, სავსებით ბუნებრივ საქციელად უნდა ჩაითვალოს ამ ნიმუშის დამუშავება იმ სახით, რა სახითაც ამ ნიმუშის ზოგადი ჟანრი მოითხოვს. მაგალითად, ცნობილია, რომ მეგრულ ნანას, რომელსაც `სისა ტურა~ მოჰყვება, მღერიან მამაკაცები (ჩიჯავადის ზუგდიდის ექსპედიციაში და აფშილავების გვარში), თუმცა ცხადია, რომ თავად სიმღერა ქალთა რეპერტუარის კუთვნილებაა.

ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია ნიმუშის იმდაგვარად წარმოდგენა, რა მაგალითებიც უკვე გვხვდება ავთენტური ხალხური შემოქმედების ამჟამინდელ პრაქტიკაში. მაგალითად, იგივე მეგრული `ია პატნეფის~ ვერსია ჩაწერილია ჩონგურის თანხლების გარეშე. მაგრამ მის გვერდით სრულდება ბატონების სხვა სიმღერა (იგივე – გურული `საბოდიშო~), რომელსაც ჩონგურის თანხლება ახლავს. ფუნქციურად ჟანრულ დარღვევას ჩვენ ვერ ვხედავთ იმაში, რომ `ია პატნეფიც~ ჩონგურის თანხლებით შესრულდეს. ჩვენ ვერ დავიჟინებთ, რომ ეს სიმღერა, გინდა თუ არა, ჩონგურით სრულდებოდა, მაგრამ ვერც იმას დავუშვებთ, რომ მას დედა (ან – სხვა) შვილს აუცილებლად უჩონგუროდ უმღერებდა, მაშინ, როცა გვახსოვს, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭებოდა საკრავს და კერძოდ, სიმებიანს, ბატონების `დასაშოშმინებლად~. ცალკე უნდა აღინიშნოს ერთხმიანი სიმღერისათვის ხმების მიმატების პრაქტიკა.

მაგალითისთვის ავიღებთ გურულ `ქალმა სთქვას~, რომლის ერთხმიანი ვარიანტი დ. არაყიშვილს აქვს გადმოცემული თავის `მეკის~ კრებულში. არსებობს ამავე სიმღერის

ორხმიანი ვარიანტი, რომელიც ავქსენტი მეგრელიძის რეპერტუარის კუთვნილებაა. ეს უკანასკნელი საკმაოდ უცნაური წყობისაა – ჩონგურის ფონზე მელოდიის წამყვან ქალის პარტიას მამაკაცის საფეხურებზე მოძრავი ბურღონული ბანი სდევს თან. ამის გამო ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს ვარიანტი სწორედ ერთხმიანი ვარიანტის შემდგომში დამუშავების შედეგია. ასევე ვერ ვხედავთ კრიმინალს იმაში, რომ იგივე სიმღერა წარმოვადგინოთ სამხმიანი სახით. მით უმეტეს, რომ საქმე გვაქვს საღალღობო, იუმორით გაჟღენთილ სიმღერასთან და არა – სარიტუალო ფუნქციით განსაზღვრულ ჟანრთან, რისი ერთ-ერთი გამომსახველი ნიშანი სწორედ მუსიკალური კანონზომიერებებია ხოლმე. ერთხმიანი სიმღერების გასამხმიანების ორ თვალსაჩინო ნიმუშად შეგვიძლია, მოვიყვანოთ ვ. მაღრაძის და შ. ალთუნაშვილის მიერ მესხური სიმღერების აღდგენის ცდა და ანსამბლ `თუთარჩელას~ მიერ ლაზური სიმღერების გასამხმიანების პრაქტიკა. არ არის აუცილებელი, ამ მცდელობებს მიეცეს რეკონსტრუქციის კვალიფიკაცია. აქ დავა, ჩვენი აზრით, უნდა წარიმართოს იმ თემაზე, თუ რამდენად შენარჩუნებულია ამგვარ შედეგში დედნის სტილი.

შედარებით მიღებულ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს დღეს სიმღერისადმი სიტყვიერი ტექსტის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა. მიუხედავად ამისა, მაინც დავაფიქსირებთ ჩვენს მოსაზრებას ამგვარი აქტის შესახებ: ქართული ხალხური სიმღერის რომელიმე ერთი ჟანრის ფარგლებში შესაძლებელია ვერბალური სამოსის სხვადასხვა ვარიაცია, თუნდაც ეს რიტუალური ჟანრი იყოს. ხოლო მიუსადაგებელი სიმღერები ის არეალია, რომელიც მით უფრო არანორმატულ სიტყვიერ ტექსტს ითვალისწინებს. ქართული სიმღერა მაშინაც `შედგება~, თუ მისი წამომწყები, თუნდაც გულმავიწყობის გამო, მას სრულიად ახალ სიტყვებზე გაამღერებს. შესაძლოა, აქ მსმენელს გაუჩნდეს კითხვა `ჩაკრულოს~ შესრულების `რუსთავისეულ~ ვერსიაზე. ვაფიქსირებთ, რომ ეს `ექსპერიმენტი~ ჩვენთვის სრულიად მისაღებია, თუ არ გავითვალისწინებთ ტექსტში არსებულ ზოგიერთ ორაზროვან ფრაზას. `ჩაკრულოს~ ახალი ვერსიის მღერა არ ნიშნავს ძველების უარყოფას.

წინამდებარე მოხსენებაში ჩვენ არ განგვიზრახავს ფოლკლორსა და ფოლკლორიზმს, ავთენტიკურობასა და მეორეულს შორის საზღვრის დადგენა. ჩვენი თვალთახედვა ეყრდნობა იმ პლატფორმას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ განაგრძოს ბუნებრივი სტილისტური განვითარება, რაც ისევ და ისევ ტრადიციიდან საზრდოობას გულისხმობს. რ. წურჭუმიას სიტყვებით: `ჯერ მაინც ნაადრევია ხალხურ სიმღერას სამუზეუმო ექსპონატივით წავაწეროთ – `ხელს ნუ ახლებთ!~ (გვ 124-125). მიუხედავად ჟანრული უნიფიცირებისა და ნიველირებისა, ქართულმა მუსიკალურმა ფოლკლორმა უნდა შეინარჩუნოს ტრადიციული ნაკადი, ხოლო მისი ბუნებრივად ნაჩენი ახალი განტოტებები არ უნდა მოიკვეთოს, როგორც `არასწორი~, არამედ ქართული ფოლკლორული კულტურის ღირებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

თამაზ გაბისონია,

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სპეციალისტი, მუსიკოლოგიის დოქტორი